ალექსანდრე მინდორაშვილი, მარინა გიორგობიანი, მარინე კალანდარიშვილი, ქეთევან მინდორაშვილი

რამდენიმე საინტერესო გლობალური ფაქტი COVID-19-ის გავრცელების პროფილაქტიკის საშუალებების გამოყენების თაობაზე

საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემია, თსსუ ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის დეპარტამენტი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი

Doi: https://doi.org/10.52340/jecm.2024.04.36

ALEXANDER MINDORASHVILI, MARINA GIORGOBIANI, MARINE KALANDARISHVILI, KETEVAN MINDORASHVILI

SOME INTERESTING GLOBAL FACTS ABOUT THE USE OF PREVENTIVE MEASURES AGAINST THE SPREAD OF COVID-19

Academy of Preventive Medicine of Georgia, Tbilisi State Medical University Department of Hygiene and Medical Ecology, Grigol Robakidze University, Caucasus University

SUMMARY

Based on a survey conducted in 28 countries in Europe, Asia, the US and South America during the COVID-19 pandemic, it was found that one-third (33%) of respondents worldwide used medical masks during the pandemic. Most often they are used by the population of Korea (94%), Thailand (81%) and Afghanistan (74%). Only 15% of the world's population used gloves. Italy was the leader in this matter (40%). A third of respondents in Afghanistan (32%), a quarter in Armenia and Palestine (26%) share the use of gloves in terms of protection against coronavirus. More than half (54%) of respondents worldwide used disinfectants. People from the Philippines (86%), Malaysia (84%) and Thailand (79%) were the most attentive to their use. At the time of the survey, only 14% of the world was in self-isolation. France was the leader in this matter (70%). In Turkey, Bosnia and Herzegovina, 100% of the respondents said that they did not use self-isolation for the prevention of coronavirus.

Keywords: Medical masks, gloves, disinfectants, self-isolation

COVID-19-ის პანდემიის დროს Romir/Gallup International ჰოლდინგის მიერ ევროპის, აზიის, აშშ-სა და სამხრეთ ამერიკის 28 ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე გაირკვა, რომ მთელ მსოფლიოში გამოკითხულთა ერთი მესამედი (33%) პანდემიის დროს იყენებდა სამედიცინო ნიღბებს. ყველაზე ხშირად მათ იყენებდნენ კორეის (94%), ტაილანდის (81%) და ავღანეთის (74%) მოსახლეობა. რუსეთის ფედერაციაში - 13% შემთხვევაში. ნიღბებისადმი ბევრად ნაკლები ნდობა იყო დიდ ბრიტანეთში (5%), გერმანიაში (3%) და ნიდერლანდებში (1%) [2,3].

ხელთათმანებით სარგებლობდა მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 15%. იტალია, რომელიც წარმოადგენდა კორონავირუსის გავრცელების უდიდეს კერას მსოფლიოში, ამ საკითხში ლიდერი იყო (40%). გამოკითხულთა მესამედი ავღანეთში (32%), მეოთხედი სომხეთსა და პალესტინაში (26%) იზიარებდა კორონავირუსისგან დაცვის თვალსაზრისით ხელთათმანების გამოყენებას. თუმცა, ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობა პრაქტიკულად არ იყენებდა ინდივიდუალური დაცვის ამ ინსტრუმენტს - მაგალითად, თურქეთში (2%), ნიდერლანდებში (4%), ტაილანდში, ჩრდილოეთ მაკედონიაში, ბოსნია და ჰერცოგოვინაში (5%), რუსეთის ფედერაციაში (6%) [2,3].

ხელების სადეზინფექციო საშუალებებთან დაკავშირებით მდგომარეობა შედარებით უფრო ხელსაყრელი იყო. ასე მაგალითად, მსოფლიოში რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (54%) იყენებდა სადეზინფექციო საშუალებებს. მათი გამოყენებისადმი ყველაზე ყურადღებიანი აღმოჩნდა აზიის ქვეყნების მოსახლეობა, კერძოდ კი ფილიპინების (86%), მალაიზიის (84%) და ტაილანდის (79%)

მოსახლეობა. რუსეთის ფედერაციაში ამ ინსტრუმენტს იყენებდა მოსახლეობის თითქმის მეოთხედი (23%). თურქეთში და პაკისტანში შესაბამისად 10% და 14% [2,3].

რაც შეეხება თვითიზოლაციის საკითხს, გამოკითხვის პერიოდში მსოფლიოში მხოლოდ 14% იმყოფებოდა თვითიზოლაციაში. საფრანგეთი ლიდერობდა ამ საკითხში (70%). თურქეთში, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში გამოკითხულთა 100%-მა განაცხადა, რომ თვითიზოლაცია კორონავირუსის პროფილაქტიკის მიზნით არ გამოუყენებიათ. რუსეთის ფედერაციაში გამოკითხულთა მხოლოდ 2%-მა მიმართა თვითიზოლაციას. გლობალურად გამოკითხულთა 9%-მა განაცხადა, რომ ისინი თავდაცვის არანაირ ზომებს არ მიმართავდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით ისევ თურქეთი და პაკისტანი ლიდერობდნენ (შესაბამისად 32% და 43%). რუსების მოსახლეობის მეოთხედი (23%) ასევე არანაირ ზომებს არ მიმართავდა ამ სიტუაციაში. გამოკითხვის ცდომილება 95% ნდობის დონეზე შეადგენდა ± 3-5%-ს [2,3].

ჯანმოს ექსპერტების დასკვნით, ახალგაზრდების უყურადღებო ქცევისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისადმი გულგრილი დამოკიდებულება გახდა სხვადასხვა ქვეყნებში კორონავირუსის ინტენსიური გავრცელების მიზეზი. ჯანმოს გენერალური დირექტორის თქმით: „ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ზაფხულის პერიოდში ახალგაზრდები ამცირებენ თავის დამცავი ბარიერების გამოყენების შესაძლებლობებს". მან ასევე მოუწოდა მათ, უფრო პასუხისმგებლობით მოკიდებოდნენ თავის დამცავი საშუალებების გამოყენებას [1].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Глава ВОЗ возложил вину за вспышки COVID-19 на молодёжь https://www.rbc.ru/society/31/07/2020/5f2393f39a7947aa50e4760d
2. Из-за коронавируса три четверти жителей Земли стали чаще мыть руки. https://vz.ru/news/2020/3/30/1031620.html -55
3. Ромир/Gallup International: почти половина жителей планеты верит в естественное происхождение COVID-19 https://romir.ru/studies/romirgallup-international-pochti-polovina-jiteley-planety-verit-v-estestvennoe-proishojdenie-covid-19

ალექსანდრე მინდორაშვილი, მარინა გიორგობიანი, მარინე კალანდარიშვილი, ქეთევან მინდორაშვილი

რამდენიმე საინტერესო გლობალური ფაქტი COVID-19- ის გავრცელების პროფილაქტიკის საშუალებების გამოყენების თაობაზე

საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემია, თსსუ ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის დეპარტამენტი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი

რეზიუმე

COVID-19-ის პანდემიის დროს ევროპის, აზიის, აშშ-სა და სამხრეთ ამერიკის 28 ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე გაირკვა, რომ მთელ მსოფლიოში გამოკითხულთა ერთი მესამედი (33%) პანდემიის დროს იყენებდა სამედიცინო ნიღბებს. ყველაზე ხშირად მათ იყენებენ კორეის (94%), ტაილანდის (81%) და ავღანეთის (74%) მოსახლეობა. ხელთათმანებით სარგებლობდა მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 15%. იტალია ამ საკითხში ლიდერი იყო (40%). გამოკითხულთა მესამედი ავღანეთში (32%), მეოთხედი სომხეთსა და პალესტინაში (26%) იზიარებდნენ კორონავირუსისგან დაცვის თვალსაზრისით ხელთათმანების გამოყენებას. მსოფლიოში რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (54%) იყენებდა სადეზინფექციო საშუალებებს. მათი გამოყენებისადმი ყველაზე ყურადღებიანი აღმოჩნდა ფილიპინების (86%), მალაიზიის (84%) და ტაილანდის (79%) მოსახლეობა. გამოკითხვის პერიოდში მსოფლიოში მხოლოდ 14% იმყოფებოდა თვითიზოლაციაში. საფრანგეთი ლიდერობდა ამ საკითხში (70%). გლობალურად გამოკითხულთა 9%-მა განაცხადა, რომ ისინი თავდაცვის არანაირ ზომებს არ მიმართავდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით თურქეთი და პაკისტანი ლიდერობდნენ (შესაბამისად 32% და 43%).